

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება №33

09. 10. 2008 წელი

სტუ-ს დებულებაში "არჩევნების ჩატარების შესახებ" ცვლილებათა და დამატებების შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს დებულებაში "არჩევნების ჩატარების შესახებ" თავი XIII, მუხლი 36, პუნქტი 1, და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

უნივერსიტეტი არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიებს უზრუნველყოფს გამჭირვალე საარჩევნო ყუთებით. თითოეულ საარჩევნო კომისიას გადაეცემა 2 საარჩევნო ყუთი, (გარდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნებისა), აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს დებულებაში "არჩევნების ჩატარების შესახებ" თავი XIII, მუხლი 36, პუნქტი 1, და დაემატოს 3 მუხლი და ჩამოყალიბდეს

შემდეგი რედაქციით; აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ არჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 2/3 მაინც.

შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს დებულებაში "არჩევნების ჩატარების შესახებ" თავი XIII, მუხლი 39, პუნქტი 8, და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;


ფაკულტეტიდან აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენიც დადგენილია უნივერსიტეტის წესდებით ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. საუკეთესო შედეგის მქონე ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ამომრჩეველთა სიითი შემადგენლობის სმების უმეტესობას, მხოლოდ არანაკლებ 10% მაინც.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
პროფ.



ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,  
პროფ.



გ. სალუქვაძე